

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.11.2023

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის

მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის ოქტომბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 1.7 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 1.4 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 2.6 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები 5.3 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 2.7 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 1.5 პროცენტიანი ზრდა. წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე ფასები არ შეცვლილა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის ოქტომბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	102.6	2.59
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	105.3	0.10
C	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	102.7	2.19
11	სასმელები	104.8	0.65
D	ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი	101.5	0.30
E	წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით	100.0	0.00

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.11.2023

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე =100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge